

## საკონკურსო განცხადება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113-ში მდებარე შენობის წყალმომარაგება- კანალიზაციის სისტემის და საბავშვო სკვერის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

1.2. სამინისტროს მიერ ცხადდება კონკურსი აღნიშნული შენობა-ნაგებობის წყალმომარაგება- კანალიზაციის სისტემის და საბავშვო სკვერის მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **3 000.00 (სამი ათასი) ლარს**.

### 2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასს დღ-ს ჩათვლით;

2.2. პირის რეკვიზიტებს (იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, პირადი ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი);

2.3. ჩასატარებელი სამუშაოების სქემატურ გეგმას (ნახაზებს);

3. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას **3 000.00 (სამი ათასი) ლარს, არ განიხილება;**

4. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება **10-ქულიანი** სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

4.1. ჩასატარებელი სამუშაოების სქემატური გეგმა (ნახაზი): კოეფიციენტი – 0,4;

4.2. საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,6.

5. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ჩასატარებელი სამუშაოების სქემატურ გეგმას ან/ და საკონკურსო წინადადების ფასს, დისკვალიფიცირებული იქნება.

7. საპროექტო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

8.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს **50 (ორმოცდაათი) ლარის** ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურსის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22	
მიმღების დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიშის/სახაზინო კოდი: 707797130	

**8.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

**9.3. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.** ამასთანავე, **8.1. და 8.2.** პუნქტების დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება **დისკვალიფიცირებული იქნება.**

**9.** წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

**10. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი ან/და ბეჭედადამსული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

**11. საკონკურსო წინადადები წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით** მისამართზე - ქალაქი თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კანცელარიაში. წერილი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის (მინისტრის პირველი მოადგილე - გრიგოლ გიორგაძე) სახელზე.

**12. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2015 წლის 04 მარტს 15:00 საათზე. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.**

**13. ანგარიშსწორება განხორციელდება** გაწეული მომსახურების სრულად მიწოდების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი), აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში. **“საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით** გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

**14. მომსახურების მიწოდება განხორციელდება წინამდებარე საკონკურსო განცხადებით და თანდართული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტით დადგენილი პირობების შესაბამისად.**

**15. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.**

**16. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციაში.**

**17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები. პროექტის შედგენის მიმდინარეობა შემსყიდველთან განხილული უნდა იქნეს არანაკლებ კვირაში ორჯერ მაინც.**

**18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოოდ დაზუსტებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა განახორციელოს როგორც წერილობითი (ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე, დამოწმებული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია), ისე ელექტრონული ფორმით. ამასთან, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თითოეული, მახასიათებლების მიერ დაჯგუფებული, სამუშაო ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 (რვა) მეგაბაიტს.**

**19. სამინისტროს საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.**

**20. შემსყიდველი არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.**

21. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

22. სამუშაოების დაგეგმარების პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

23. კონკურსანტს დამატებითი განმარტებების (ინფორმაციის) მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: **ქალაქი თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა**, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

**საკონტაქტო პირები:**

- კონკურსის მიმდინარეობის საორგანიზაციო საკითხებზე - **მაიკო მიქაია, ტელ.: 2 31 15 80,**

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის საკითხებზე - **ნინო მენტეშაშვილი, ტელ: 551 30 25 25;**



## ტექნიკური დავალება

### შესყიდვის ობიექტი:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113-ში მდებარე შენობის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის და საბავშვო სკვერის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების შესყიდვაზე.

1.1 წყალმომარაგება განხორციელდეს თანდართული ტექნიკური პირობის საფუძველზე და პროექტი უნდა შეთანხმდეს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან (იხ. დანართი).

1.2 წყალარინების არსებული ქსელის რეაბილიტაცია წითელ ხაზებში. (პროექტირებისას მოხდეს კოორდინაცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან დასაერთებელი წერტილის განსაზღვრის მიზნით, ვინაიდან აღნიშნული კომპანია ახორციელებს წყალარინების ქსელის მოწყობას ობიექტის წითელ ხაზებამდე).

1.3. მცირე არქიტექტურული ფორმები (ბავშვთა სათამაშო მოედანი, დაახლოებით 70 კვ.მ).

2. საპროექტო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის დღის განმავლობაში.

3. კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასს დღგ-ს ჩათვლით;

3.2. პირის რეკვიზიტებს (იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, პირადი ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი);

3.3. ჩასატარებელი სამუშაოების სქემატურ გეგმას (ნახაზებს) ;

### შენიშვნა:

საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

სახელმწიფო შესყიდვის  
ხელშეკრულება  
N

ქ. თბილისი

-----2015 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის სახით და მეორეს მხრივ, -----(შემდგომში “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონკურსში (N-----) გამარჯვებული კონკურსანტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტი.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდებას.
- 1.6. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ----- შესყიდვა, ამ ხელშეკრულებას თანდართული საკონკურსო დავალების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.2. CPV 71242000 - „პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა“;

**მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ მოიცავს როგორც გასაწევი „მომსახურების“ ღირებულებას, ასევე „ხელშეკრულების“ შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**მუხლი 4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

- 4.1. „მომსახურების“ გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა.
- 4.2. „მომსახურების“ გაწევის ვადაა: -----

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

- 5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
  - ა) უზრუნველყოს გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში;
  - ბ) „მიმწოდებლისაგან“ „მომსახურების“ გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, შეამოწმოს „მომსახურების“ ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულებისა“ და საკონკურსო პირობებთან.
- 5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში.
- 5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
  - ა) განახორციელოს „მომსახურება“ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად;

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯებით;

გ) „მომსახურების“ მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

## **მუხლი 6. გარანტია**

6.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ტექნიკური დავალების მიხედვით მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

## **მუხლი 7. ინსპექტირება**

7.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია ჩაატაროს ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

7.2. ინსპექტირებას განხორციელებს სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ნინო მენტეშაშვილი;

7.3. „შემსყიდველის“ შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განხორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

## **მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარება**

8.1. „მომსახურება“ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 8.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

## **მუხლი 9. ანგარიშსწორება**

9.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი),

9.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით - ლარებში, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემსყიდველისთვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში;

9.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მთლიანად, შესრულებული სამუშაოების მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

## **მუხლი 10. ფორს-მაჟორი**

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესამდებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

## **მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა**

11.1. „ხელშეკრულებით“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.2. „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული „მომსახურების“ მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი „მომსახურების“ ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

11.3. „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. „მიმწოდებელს“, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა „ხელშეკრულების ღირებულების“ 5 %-ის ოდენობით.

**მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

12.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „ხელშეკრულების“ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ხელშეკრულების ღირებულების“ გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%-ზე მეტი ოდენობით.

**მუხლი 13. დავების გადაწყვეტა**

13.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ უზრუნველყოფენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

**მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1 „ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს -----.

**მუხლი 16. სხვა პირობები**

16.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) - მიმწოდებელთან.

16.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

**მუხლი 17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები**

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო</p> <p>ს. კოდი 200037646</p> <p>მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა</p> <p>ტელ: 2 31 15 80</p> <p>სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222</p> <p>ა/ა 200122900</p> <p>სახაზინო კოდი - 302009921</p>	
---	--